დანართი N2

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული
კონკურსის პროგრამა და პირობები

1.შესავალი

1.1 ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებით დამტკიცებული 2026 წელს მოქმედი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას. კონკურსის წესის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებს.

1.2 აღნიშნული ქვეპროგრამა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა სხვებთან თანასწორ პირობებში.

1.3 ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

2.კონკურსის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

2.1 კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს 18 წლიდან და ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობდნენ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსს;
- გააჩნდეთ საკონკურსო პროგრამის სამიზნე ჯგუფებთან/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მუშაობის გამოცდილება;
- პროექტისა და პროექტის ბიუჯეტის მართვის უნარები.

2.2 კონკურსში მონაწილეს შეუძლია შეავსოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

2.3 საპროექტო განაცხადი შევსებული უნდა იყოს საკონკურსი პროექტის განაცხადის ფორმის მიხედვით დანართი N3 შესაბამისად და თან ერთვოდეს საჭირო დოკუმენტაცია.

2.4.საკონკურსო განაცხადი მიღებული უნდა იყოს დადგენილ ვადაში.

2.5 საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შერჩევას კრიტერიუმების პრიორიტეტულობის მიხედვით, მათ დეტალურ შემოწმებას და შეფასებას.

2.6 შესაძლებელია კოალიციური ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის, მათ შორის ქალაქ ქუთაისში მოქმედი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა.

2.7 კონკურსის წესით გამარჯვებული თითოეული პროექტის დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება დროებითი საკონკურსო კომისიის მიერ.

2.8 პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 30 000 /ოცდაათი ათასი/ ლარს.

2.9 აუცილებელია კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ღირებულების თანადაფინანსება განისაზღვროს არანაკლებ 10%-სა.

2.10 სახელფასო ბიუჯეტი გადასახადების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 30%-ს.

3. კონკურსის ჩატარების ვადები

3.1 კონკურსის გამოცხადება **2026 წლის 13 ივლისი.**

3.2 დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკონკურსო განაცხადი უნდა წარმოადგინონ **2026 წლის 13 აგვისტოს** ჩათვლით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: შ. რუსთაველის გამზ. N3) ან სოციალურ საკითხთა სამსახურში (მის: ნ. დუმბაძის ქ. N61) მატერიალურად. ასევე, შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: contact@kutaisi.gov.ge ან sockutaisi@gmail.com

3.3 საკონკურსო განაცხადის შეფასების ბოლო ვადა **2026 წლის 25 აგვისტო.**

3.4 პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს აუგვიანეს **2026 წლის 15 სექტემბრისა** და დასრულდეს **2026 წლის 15 დეკემბრამდე.**

3.5 განხორციელებული პროექტის შესახებ საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა 2026 წლის 20 დეკემბრამდე.

4. კონკურში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

4.1 პროექტის განაცხადის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) ერთი ეგზემპლარი, ბეჭდური სახით და ასევე ელექტრონული ვერსია დანართი N3-ის შესაბამისად.

4.2 უახლესი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. (იურიდიული პირებისათვის).

4.3 ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

4.4 პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და CV - განმცხადებელი ფიზიკური პირის შემთხვევაში.

4.5 სავალდებულოა ფიზიკური პირი განაცხადის შემოტანის დროს არ იძებნებოდეს მოვალეთა რეესტრში.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება სახელმწიფო/არასახელმწიფო ინსტიტუტებთან ან/და მედია და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, ამ ორგანიზაციების თანხმობის წერილი.

4.7 თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.8 პირის/ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები.

4.9 კომისია იტოვებს უფლებას, განმცხადებელს საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებინოს პროექტი ან/და მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

5.კონკურსის ეტაპები

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

5.1 საკონკურსო განაცხადების მიღება

5.2 საკონკურსო განაცხადების გადარჩევა /მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა/

5.3 პროექტების განხილვა და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა.

6. შეფასებისა და შერჩევის პროცესი

6.1 საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ. დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის ოდენობის თაობაზე, საბოლოო

- გადაწყვეტილებას კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის /ოქმი/ საფუძველზე მიიღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

6.2 კომისიის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ პროექტებს, საკონკურსო განაცხადთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით.

6.3 საკონკურსო კომისია განაცხადების განხილვასა და შეფასებას უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში.

6.4 კომისია იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს გამარჯვებული, თუ ვერ შეირჩა სათანადო განაცხადი.

6.5 შეფასება განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი

6.5.1 პროექტის ინოვაციურობა, კრეატიულობა და რელევანტურობა

6.5.2 ორგანიზაციის/კონკურსანტის გამოცდილება

6.5.3 პროექტის დასაბუთება, მდგრადობა, განვითარების პერსპექტივა და შედეგის ეფექტიანობა.

6.5.4 ბიუჯეტი, ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან და მიზნებთან.

6.5.5 პროექტის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

7. გადაწყვეტილების შეტყობინება

კონკურსანტებს მიღებული შედეგების შესახებ ეცნობება სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წერილობით. საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

8. კონტროლი და ანგარიშგება

კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტის წარმდგენი პირი/ორგანიზაცია ვალდებულია სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ყოველი თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავითა ელიმელეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
212721170